სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/39

ქ. თბილისი

13 ოქტომბერი 2020

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორდიპლომიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-04/189 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ორდიპლომიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგიის“ ინგლისურენოვანი მოდულისათვის პილოტური საწარმოების (რძის და ყურძნის გადამამუშავებელი) აშენების მიზნით, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პილოტური საწარმოების მშენებლობისა და სათანადო აღჭურვისათვის ნაწილობრივი დაფინანსების გამოყოფაზე შუამდგომლობა წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**